| | | |
| საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა | შპრინგერის საგამომცემლო სახლის მიერ გამოცემების გამოფენა | **$ 25 621** |
| | | |
| ზუგდიდის საბიბლიოთეკო გაერთიანება | სპეციალისტთა საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესება ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში | **$ 3 922** |
| | | |

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: **$ 58 618**

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: **$ 96 000**

ქალთა ეროვნული პროგრამა

ქალთა აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; გენდერი:განათლება და განვითარება; ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა; ეთნო-კულტურული გაუცხოვების დაძლევა.

| | | |
|---|---|---|
| ნინო ელიზბარაშვილი (ორგანიზაცია "ქალი და ბიზნესი") | სამგზავრო გრანტი მონაწილეობის მისაღებად კონფერენციაში "ქალთა პრობლემები, ოჯახი და ბიზნესი" (უზბეკეთი, ბუხარა) | **$ 905** |
| | | |
| ქალთა რეგიონალური ორგანიზაცია "ფაროსი" (ნინოწმინდა) | კომპიუტერული კლასი ნინოწმინდაში | **$ 4827** |
| | | |
| მზია ივანიძე | "ქალი და საზოგადოება" | **$ 1000** |
| | | |
| მაია მეცხვარიშვილი | ქალთა პრობლემები იმერეთის რეგიონში | **$ 1000** |
| | | |
| რუსუდან ლორთქიფანიძე | მე - ქალი. | **$ 1000** |
| | | |
| გალინა პეტრიაშვილი | ქალი და საზოგადოება: თანამედროვეობის პრობლემები. | **$ 1000** |
| | | |
| თეა ახალკაცი | ქალი და სიღარიბე | **$ 1000** |
| | | |
| ია მერკვილაძე | ქალთა სამშვიდობო ინიციატივები | **$ 1000** |
| | | |
| იზოლდა წიქარიშვილი | გარდამავალი ხანა და ქალთა საკითხი სამცხე-ჯავახეთში | **$ 1000** |
| | | |
| ნინო სუხიაშვილი | კრიმინალი ტრადიციის ნიღბით | **$ 1000** |
| | | |
| ცირა დიდებულიძე | ქალის როლი დემოკრატიულ პროცესებში | **$ 1000** |
| | | |
| ია დანელია | ქალი და ჯანმრთელობა | **$ 1000** |
| | | |
| მაკა ჯაიანი | სიღატაკე და ქალთა პრობლემები გარდამავალი ხანის საქართველოში | **$ 1000** |
| | | |
| ნინო ტარყაშვილი | საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მაცხოვრებელ ქალთა პრობლემები | **$ 1000** |
| | | |
| დიანა მიქაძე | ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელური მუშაობა საქართველოში და მედია | **$ 1000** |
| | | |
| ნესტან ცეცხლაძე | 24 ნეკნი | **$ 1000** |

| | | |
|---|---|---|
| ნანა ბერეკაშვილი | გენდერული თეორიების ანთოლოგიის გამოქვეყნება ქართულ ენაზე | **$ 1182** |
| საგანმანათლებლო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრი | ქალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა ფილანთროპიის ცენტრის დაარსებით თბილისში | **$ 7 300** |
| ასოციაცია "იმიჯი" | ჟურნალის გამოცემა ქალთა პროგრამის საქმიანობაზე | **$ 5043** |
| ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა ეროვნული პროგრამა | ქალთა ზეპირი ისტორიები: მრავალეთნიკური საქართველო უკანასკნელ ათწლეულში | **$ 10 000** |
| ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ქალთა ეროვნული პროგრამა | მედია და გენდერული პოლიტიკა - საქართველო (სარესურსო-საკონსულტაციო ცენტრის დაარსება; ქსელური მუშაობა ჟურნალისტებთან; კვლევები) | **$ 16 000** |
| ადამიანთა ჰარმონიული განვითარების საზოგადოება | გენდერული ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო ვებ გვერდის შენარჩუნება | **$ 1 500** |
| ვერა წერეთელი | სამგზავრო გრანტი მონაწილეობისთვის კონფერენციაში "ქალები მმართველობაში" (მოსკოვი) | **$ 300** |
| გუგული მაღრაძე<br>რუსუდან ციცქიშვილი | მონაწილეობა ქსელური პროგრამის "განათლება უფლებამოსილებისთვის" საერთაშორისო შეხვერდაში კიევში | **$ 556** |
| რუსუდან ციცქიშვილი<br>ეკატერინე ფირცხალავა<br>სერგო დურგლიშვილი<br>ნანა მონიავა<br>გულნარა ჩხიკვაძე<br>მამუკა შურღაია<br>ალექსანდრე ცაგარელი | სამგზავრო გრანტები პროგრამის "განათლება უფლებამოსილებისთვის" საქართველოს გუნდის მონაწილეობისთვის მუკაჩოვოს საზაფხულო ბანაკში (უკრაინა) | **$ 2 700** |
| ლელა ბაქრაძე<br>(საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასია) | სამგზავრო გრანტი მონაწილეობის მისაღებად სემინარში "ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო მედია კამპანიის ჩასატარებლად (ბუდაპეშტი)" | **$ 830** |
| საერთაშორისო ქალთა დახმარება - კავკასია | 16 დღიანი აქცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ (დაფინანსდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის (ბუდაპეშტი) მედიისა და ქალთა ქსელური პროგრამებიდან) | **$ 5 000** |

**პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: $ 84 258**

**პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 85 500**

ეროვნული გამომცემლობის პროგრამა

პროგრამის მიზანია საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის განვითარების და ასევე მთარგმნელობითი საქმიანობის და მომსახურების განვითარება, სხვადასხვა ღონისძიებების და სემინარების ჩატარების მხარდაჭერის გზით.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია | თბილისის წიგნის III საერთაშორისო ბაზრობა | **$ 4 976** |
| | | |
| საქართველოს გამომცემელთა ასოციაცია | სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზრობა | **$ 11 505** |
| | | |
| კავშირი "საქართველოს ქიმიური საზოგადოება" | საქართველოს ქიმიური ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობა | **$ 800** |
| | | |
| ბესიკ ბაბუციძე | ქართულ-ოსური ლექსიკონი | **$ 7 940** |
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - დირექტორი დავით გოცირიძე | გზა მკითხველამდე | **$ 4 985** |
| | | |
| კავშირი საინფორმაციო-სასწავლო ცენტრი "ორიენტირი" | თანადგომა - ქათული გამომცემლობების მხარდაჭერა სამომხმარებლო ბაზრის შესწავლისა და წიგნის დისტრიბუციის განვითარების საქმეში | **$ 4 970** |
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - ხელმძღვანელი მარინა იაშვილი | წიგნის ბაზარი და საგამომცემლო საქმიანობა საქართველოში - პერსპექტივები | **$ 1 927** |
| | | |
| საგამომცემლო საქმის სასცავლოს ცენტრი | საგამომცემლო საქმის სწავლება ინტერნეტში | **$ 3 555** |
| | | |
| ლიტერატურულ საზოგადოებრივი ასოციაცია "არილი" | მთარგმნელობითი ალმანახის გამოცემა | **$ 2 492** |
| | | |
| თარგმანის საგამომცემლო ცენტრი "ხომლი" | მთარგმნელობითი მასტერკლასები და სემინარები | **$ 2 450** |
| | | |
| საგამომცემლო სახლი თბილისში | მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებული ორიგინალური ლიტერატურის გამოცემა | **$ 2 492** |
| | | |
| გამომცემლობა "აზრი" | მთარგმნელობითი ალმანახის "ახალი დროება #2 გამოცემა" | **$ 2 460** |
| | | |

პროექტებისთვის გამოყოფილი თანხა: **$ 50 552**

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: **$ 53 000**

**ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული პროგრამა**

2001 წლის ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული პროგრამის ძირითადი მიზანია მუშაობა წარმართოს სფეროში არსებული სიტუაციის შესაბამისად და ხელი შეუწყოს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც საფუძველს შექმნიან არსებულ პრობლემათა დასაძლევად.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა:

· საუკუნეთა მანძილზე არსებული კულტურული დიალოგის სურათის გამოვლენასა და შესწავლას (საქრთველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა თანაცხოვრების გამოცდილების საფუძველზე);
· საქართველოს თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, განვითარებასა და პოპულარიზაციას, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
· კულტურის პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობას.

| | | |
|---|---|---|
| თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი | “მე - 16-18 სს. ისლამური მატერიალური კულტურის ძეგლები საქართველოში” | **$ 7 399** |
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - ალ. ქოქრაშვილი | “პურის მოედნის” მწერლობა | **$ 3 876** |
| | | |
| ასოციაცია “უდი” | სამხარეობათმცოდნეო ეთნოგრაფიული მუზეუმის “უდიები საქართველოში” მოწყობა | **$ 5 320** |
| | | |
| ოზურგეთის თოჯინების თეატრი | ი. გოგებაშვილის “იავნანამ რა ჰქმნას” დადგმა ოზურგეთის თეატრში | **$ 3 500** |
| | | |
| ასოციაცია “გეა-XXI” | “თოჯინების თეატრი-ჩემი თეატრია" | **$ 2 934** |
| | | |
| მარნეული დრამატული თეატრი | “ცხოვრება სცენაზე” | **$ 3 487** |
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - შ.კიკვაძე | “დრამატული სპექტაკლი” | **$ 3 245** |
| | | |
| კავშირი “მწვანე ჯვარი” | “სარესტავრაციო-სამეცნიერო სამხატვრო სახელოსნო” | **$ 5 921** |
| | | |
| ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი | “ყინცვისი” | **$ 4 890** |
| | | |
| საქართველოს სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრი | “ქართული კულტურის ძეგლების ინგლისურენოვანი გამოცემები” | **$ 6 246** |
| | | |
| ფონდი “სავანეთა” | “ქ. ტყიბულში გიშრისა და ძვირფასმერქნიანი ხის მხატვრულად დამუშავების სასწავლო დაოსტატების კაბინეტის მოწყობა ” | **$ 3 928** |
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - ვახტანგ ბუღაძე | “ქვის თლისა და დამუშავების შემოქმედებითი სახელოსნო” | **$ 4 000** |
| | | |
| ნანა ჯანელიძე | “გამოსვლა მინდა წამიდან ” | **$ 5 000** |

| | | |
|---|---|---|
| თბილისის თეატრალური ცენტრი | "თავისუფალი თეატრი" | **$ 5 000** |
| კავკასიის კულტურული პროგრამების საერთაშორისო ბიურო | "საგაზაფხულო უნივერსიტეტი-თრეინინგ კურსები" | **$ 4 700** |
| თამილა მგალობლიშვილი | "ქართული კულტურის ძეგლების ინგლისურენოვანი გამოცემები" | **$ 6 146** |
| ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი | "საზოგადოების გათვითცნობიერება კულტურული ფასეულობების გადარჩენის, მოვლისა და გონიერი გამოყენების მიზნით მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის – 'ყინცვისის' მაგალითზე" | **$ 4 890** |
| ლ. ახალაია | "თრიალეთის არაბული წარწერები-საქართველოს, როგორც მულტიკულტურული ქვეყნის განმსაზღვრელი ერთი ელემენტი" | **$ 879** |
| მ. შავიშვილი | "მ. ნესტეროვის მხატვრობა აბასთუმნის ახალი ზარზმის ეკლესიაში" | **$ 2 471** |
| ზ. ინაშვილი | "ასირიელები საქართველოში" | **$ 2 482** |
| დენიზა სუმბაძე | გამგზავრება ბიზანტიოლოგთა XXI საერთაშორისო კონგრესზე საფრანგეთში | **$ 1 581** |
| ინგა ქაშაკაშვილი | გამგზავრება აშშ-ში, ნიუპორტში, პიანისტთა საერთაშორისო კონკურსსა და ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად | **$ 1 035** |
| ალექსანდრე გელაძე | გამგზავრება მუსიკალურ ფორუმზე ელსინორში, დანია | **$ 710** |
| ზაზა სხირტლაძე | მონაწილეობა ბიზანტიოლოგთა XXI საერთაშორისო კონგრესზე საფრანგეთში | **$ 560** |
| თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი | აპარატურული მოწყობილობა თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრისათვის | **$ 3 469** |
| საინიციატივო ჯგუფი - ქეთევან ფილიპოვა-კვაჭაძე | "ნართი" | **$ 3 455** |
| საინიციატივო ჯგუფი - ლევან სილაგაძე | გამოფენა-აქცია "დასავლეთი და აღმოსავლეთი მზერა კავკასიიდან " | **$ 3 495** |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - მარიამ დავითაშვილი | კამერული მუსიკის კონცერტები და მასტერ-კლასები საქართველოს რეგიონებში | **$ 1 956** |
| | | |
| საინიციარივო ჯგუფი - აბუთიძე მანანა | მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტში სასწავლო პროცესის სრულყოფის გზები | **$ 965** |
| | | |
| ნინო ახალაია | “აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების პოპულარიზაცია” | **$ 984** |
| | | |
| ალექსანდე მაჩაიზე | “ხევის კულტურული მემკვიდრეობა ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში” | **$ 999** |
| | | |
| მაია მოწონელიძე | შევისწავლოთ, გავუხანგრძლივით სიცოცხლე კახეთის ხუროთმოძღვრების ნაკლებად ცნობილ ნიმუშებს | **$ 970** |
| | | |
| სალომე ბაკაშვილი | “ჭავჭავაძეთა საგვარეულო პანთეონი” | **$ 932** |
| | | |
| საინიციატივო ჯგუფი - გიორგი კოტეტიშვილი | ქართული კინო პლაკატის გამოფენა | **$ 950** |
| | | |
| შუქურა ინასარიძე | “საქართველოს მესურათხატენი” ფოტომატიანე | **$ 3 500** |
| | | |

**პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 185 000**

**ხელოვნებისა და კულტურის ქსელური პროგრამა**

2002 ფონდი მონაწილეობდა ხელოვნებისა და კულტურის შემდეგ პროგრამებში
- კულტურული კავშირები;
- კულტურის პოლიტიკა;
- ურთიერთგაგების ხიდები;
- შიდა ხედვა.

| | | |
|---|---|---|
| ლევან ბერძენიშვილი | ბულგაკოვის სახელობის კონფერენცია და თეატრალური წარმოდგენა<br>ბუდაპეშტი, უნგრეთი | **$ 1 060** |
| | | |
| ლევან ხეთაგური | კულტურის მართვის ევროპული ცენტრის სასწავლო ცენტრების შეხვედრა | **$ 545** |
| | | |
| მაკა ვირსალაძე | ევროპელი კომპოზიტორების არაფორმალური შეხვედრა | **$ 854** |
| | | |
| 11 პირი - ხელმძღვანელი ზაალ ქიქოძე | დაკარგული ურთიერთობების აღორძინება: | **$ 14 658** |

| | | |
|---|---|---|
| | ხელოვნების ერთობლივი ინტერაქტიული პროექტი მონღოლეთსა და კავკასიის ქვეყნებს შორის<br>ულანბატორი, მონღოლეთი | |
| იური მღებრიშვილი, ლევან ხეთაგური | რეგიონალური ფესტივალები და სემინარები<br>ულანბატორი, მონღოლეთი | **$ 2 776** |
| ანა მაღალაშვილი | სასცენო ხელოვნების საზაფხულო აკადემია - სოფია 2001<br>სოფია, ბულგარეთი | **$ 1 439** |
| თეონა კახიძე | კავკასიის რეგიონში ახალი კულტურული ტენდენციების განვითარება<br>თბილისი, საქართველო | **$ 5 050** |
| ნანა ფირცხალავა | "არტგრუზი"<br>თბილისი, საქართველო | **$ 6 490** |
| ქალთა ინიციატივების მხარდამჭერის ჯგუფი | უკრაინის კულტურის დღეები საქართველოში "ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის" | **$ 9 835** |
| ირინა აბჟანდაძე, თამარ სულამანიძე | "ხელოვნება, დრო, სივრცე" ქალთა საერთაშორისო ხელოვანთა სიმპოზიუმი<br>წახკაძორი-ეჩმიაძინი-ერევანი, სომხეთი | **$ 420** |
| ქეთევან კორძახია, ირაკლი წულაძე | ბალტიის ხელოვანთა საერთაშორისო სემინარი რეზიდენციებზე<br>სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი | **$ 1 100** |
| 12 ხელოვანი | "სტაბილურობის თაღი"<br>სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი | **$ 5 412** |
| გარი კუნცევი | საერთაშორისო აუდიო-ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი "პირადი ხედვა"<br>ერევანი, სომხეთი | **$ 60** |
| გაგა ჩხაიძე | ფილმის საერთაშორისო ფესტივალი "შავი ღამეები"<br>ტალინი-ტარტუ, ესტონეთი | **$ 150** |

**პროგრამის საერთო ბიუჯეტი: $ 49471**

**სოციალური მეცნიერების მხარდამჭერის პროგრამა**

ფონდის “ღია საზოგადოება – საქართველო” სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს საქართველოში სოციალური მეცნიერებების სფეროში ახალი თაობის სპეციალისტთა მომზადებას.
პროგრამის სტრატეგიული მიმართულებებია:

- სოციალური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობა: ახალ სამაგისტრო სალექციო კურსთა შექმნა, განვითარება და დამკვიდრება; თანამედროვე და კლასიკური ტექსტების თარგმნა და გამოსაცემად მომზადება; სწავლების ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა; სოციალურ მეცნიერებათა სარესურსო ცენტრის შექმნა;
- უმაღლესი განათლების რეფორმის მხარდაჭერა: უმაღლესი განათლების სფეროში საკანონმდებლო საქმიანობის ხელშეწყობა; აღნიშნულ პროცესში აკადემიური და ფართო საზოგადოების ჩართვა

2001 წელს, პროგრამის სამიზნე დისციპლინები იყო: სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერებები და საერთაშორისო ურთიერთობები.

2001 წელს პროგრამის სამიზნე ინსტიტუტებად განისაზღვრა:
- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სოციოლოგიის კათედრები;
- ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტი.

პროგრამის სარესურსო ინსტიტუტებია:
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი;
- მოსკოვის სოციალურ მეცნიერებათა და ეკონომიკის უმაღლესი სკოლა;
- სანქტ-პეტერბურგის ევროპული უნივერსიტეტი.

### ახალი სამაგისტრო სალექციო კურსების მომზადება

2001 წლის ივლისსა და აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამამ ჩაატარა სამაგისტრო სალექციო კურსთა მომზადების თემატური მეოთხე კონკურსი (CDC4), რომელიც მიზნად ისახავდა სოციოლოგიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ახალ სამაგისტრო კურსთა მომზადების ხელშეწყობას. პროგრამამ დააფინანსა ოთხი სალექციო კურსის მომზადება:

| | | |
|---|---|---|
| პროფ. ზურაბ დავითაშვილი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა; | "გლობალიზაცია და ნაციონალიზმი" | **$ 1 696** |
| პროფ. მალხაზ მაცაბერიძე, თსუ პოლიტოლოგიის კათედრა; | "პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო ტექნოლოგიები" | **$ 1 585** |
| მარინე ბურძენიძე, თსუ სოციოლოგიის კათედრა; | "გაზომვა რაოდენობრივ (ქვანტიტატურ) სოციოლოგიურ გამოკვლევებში" | **$ 1 264** |
| დოც. მამუკა ბერიაშვილი, ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტი. | "თავისუფლების იდეა სოციალურ ფილოსოფიასა და პოლიტიკურ მეცნიერებებში (გერმანული ტრადიცია)" – | **$ 1 093** |

დახარჯული თანხა: **$ 5 660**

### ახალ სამაგისტრო სალექციო კურსთა კონკურსის გრანტიორთა სტაჟირება

2001 წლის განმავლობაში პროგრამის ფინანსური და ორგანიზაციული ხელშეწყობით CDC კონკურსების (CDC1,CDC2,CDC3) გრანტის მიმღებმა სპეციალისტებმა პროგრამის პარტნიორ უნივერსიტეტებში გაიარეს სტაჟირება:

| | | |
|---|---|---|
| დოც. ლალი სურმანიძე | სამთვიანი სტაჟირება მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი (რუსეთი). მენტორი - დოც. ალექსანდრე გასპარაშვილი; | **$ 5 631** |
| პროფ. მამუკა ბიჭაშვილი | სამთვიანი სტაჟირება ბოხუმის უნივერსიტეტში (გერმანია). მენტორი – დოქტორი უდო რეინჰოლდ | **$ 5 717** |

| | | |
|---|---|---|
| | იეკი; | |
| დოც. ნოდარ ლადარია | სტაჟირება სანქტ-პეტერბურგის ევროპულ უნივერსიტეტში (რუსეთი). მენტორი – პროფ. ნიკოლაი ვახტინი; | **$ 2 966** |
| მიხეილ გოგატიშვილი | ერთთვიანი სტაჟირება მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლეს სკოლაში (რუსეთი). მენტორი - პროფ. ბორის კაპუსტინი | **$ 3 599** |
| პროფ. გიგი თევზაძე | ორთვიანი სტაჟირება ბაიროითის უნივერსიტეტში (გერმანია). მენტორი – დოქტორი გაბრიელე კაპაი; | **$ 5 907** |
| ლია მეზვრიშვილი | ორთვიანი სტაჟირება ვარშავის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (პოლონეთი). მენტორი - პროფ. ანჯეი რიხარდი. | **$ 6 793** |
| პროფ. მამუკა ბერიაშვილი | ერთთვიანი სტაჟირება ბოხუმის უნივერსიტეტში (გერმანია); მენტორი - დოქტორი უდო რეინჰოლდ იეკი; | **$ 3 942** |

**დახარჯული თანხა: $ 34 555**

### დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა

2001 წლის აგვისტოში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ეგიდით, ტენდერის საფუძველზე (ტირაჟი 500 ეგზემპლარი), გამოიცა ახალი სამაგისტრო სალექციო კურსები, რომელსაც თსუ-ს მეთოდსაბჭომ დამხმარე სახელმძღვანელოების სტატუსი მიანიჭა; წიგნები უსასყიდლოდ გადაეცა სამიზნე ინსტიტუტების კათედრებსა და ბიბლიოთეკებს, პროგრამის სარესურსო ცენტრს, საქართველოს სხვა სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებს, ავტორებს.

| | | |
|---|---|---|
| გამომცემლობა "ნეკერი" | სამი დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა:<br>1. “კულტურის სოციოლოგია” - ედუარდ კოდუა<br>2. “პოლიტიკური ძალაუფლების თეორია”- მამუკა ბიჭაშვილი<br>3. “კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები და ემპირიული კვლევები)”- ლალი სურმანიძე | **$ 2 491** |
| გამომცემლობა "მეცნიერება" | სალექციო კურსების გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოების სახით:<br>- "საზოგადოებები გარდამავალ ეპოქებში: დემოკრატიზაცია თანამედროვე სამყაროში” – გია ჟორჟოლიანი, მარინა მუსხელიშვილი, თამარ ზერეკაშვილი<br>- “სოციალური მოქმედების თეორია” – იაგო კაჭკაჭიშვილი<br>- “პოლიტიკური კონფლიქტები და გადაწყვეტილების მიღება”- რევაზ ჯორბენაძე | **$ 1 807** |
| გამომცემლობა "მერიდიანი" | სალექციო კურსების გამოცემა დამხმარე სახელმძღვანელოების სახით:<br>- “საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში” – ნინო კიღურაძე, გიორგი სანიკიძე<br>- “გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში “ – კახაბერ კაციტაძე<br>- “ურბანული სოციოლოგია”- თამარ სულუხია | **$ 2 142** |

**დახარჯული თანხა: $ 6 440**

**სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა და გამოსაცემად მომზადება**

სოციალური მეცნიერების მხარდაჭერის პროგრამა ხელს უწყობს სოციალური მეცნიერების სასწავლო და სპეციალური ლიტერატურის, როგორც კლასიკის, ასევე თანამდროვეობის, თარგმნას ქართულ ენაზე და მომზადებას გამოსაცემად.

| | | |
|---|---|---|
| რუსუდან გოცირიძე (დასრულებული პროექტი) | "წარმოსახვითი საზოგადოებები" - ბენედიქტ ანდერსონი (მთარგმნელი რუსუდან გოცირიძე, სამეცნიერო რედაქტორი – ზურაბ დავითაშვილი) | **$ 3 478** |
| ნინელი კენჭაძე (დასრულებული პროექტი) | "დემოკრატიის მომავალი" - ნორბერტო ბობიო (მთარგმნელი – ნინელი კენჭაძე, სამეცნიერო რედაქტორი – ზურაბ ჭიაბერაშვილი). | **$ 2 976** |
| გიორგი ბარამიძე (მიმდინარე პროექტი) | "მოქმედების კომუნიკაციური თეორიის წინასწარი მონახაზები და დამატებები"- იურგენ ჰაბერმასი (მთარგმნელი – გიორგი ბარამიძე); | **$ 5 701** |
| გიორგი ხელაშვილი (მიმდინარე პროექტი) | "ანარქიული საზოგადოება: წესრიგის საკითხი მსოფლიო პოლიტიკაში"- ჰედლი ბული (მთარგმნელი – გიორგი ხელაშვილი). | **$ 6 636** |
| ნინო კიღურაძე (მიმდინარე პროექტი) | "მსოფლიო პოლიტიკა გარდატეხის პროცესში" - ერნსტ-ოტო ჩემპილი (მთარგმნელი – ნინო კიღურაძე); | **$ 2 371** |
| დევი დუმბაძე (მიმდინარე პროექტი) | "შემეცნება და ინტერესი" - იურგენ ჰაბერმასი (მთარგმნელი – დევი დუმბაძე); | **$ 7 487** |

დახარჯული თანხა: **$ 20 598**

**სოციალურ მეცნიერებათა სარესურსო ცენტრი**

სოციალურ მეცნიერებათა სარესურსო ცენტრი 2001 წლის მიასში გაიხსნა ფონდის "ღია საზოგადოება - საქართველო" ოფისის ტერიტორიაზე.
ცენტრი აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასით. ცენტრში ფუნქციონირებს სოციალურ მეცნიერებათა ბიბლიოთეკა, რომელშიც მოიპოვება მასალები სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დარგში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. სარესურსო ცენტრი ღიაა სოციალურ მეცნიერებათა სფეროში დაკავებული სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

| | | |
|---|---|---|
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა - შიდა პროექტები | უცხოელ პროფესორ-მასწავლებელთა სემინარები სარესურსო ცენტრში დასამოდელო ლექციები თსუ სოციოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრებზე:<br>- ფრიდრიხ კრატოხვილი (PhD საერთაშორისო ურთიერთობებში; მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი) - სემინარები: "ნაციონალიზმი" და "ცივი ომის შემდგომი ხანა";<br>- ალექსანდრე გასპარიშვილი (PhD სოციოლოგიაში; მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიურ კვლევათა ცენტრი) - სემინარი: "საზოგადოებრივი აზრის კვლევა რუსეთში";<br>- ჯონატან ვიტლი (PhD პოლიტიკური მეცნიერებები; ფლორენციის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი) | **$ 12 127** |

| | | |
|---|---|---|
| | - ღია ლექცია: "მუნიციპალური მართველობის სფეროში არსებული მიმდინარე პოლიტიკური სიტუაცია";<br>- გაბრიელე კაპაი (PhD სოციოლოგიაში; ბაიროითის უნივერსიტეტის ზოგადი სოციოლოგიის კათედრა) - სემინარი: "თვისებრივი კვლევის მეთოდები";<br>- კენეტ რობერტსი (PhD სოციოლოგიაში; ლივერპულის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტი) - სემინარი: "ახალგაზრდობა, პოლიტიკა და დემოკრატიის ტიპები XXI საუკუნეში." | |
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა (შიდა პროექტი) | ახალი სალექციო კურსების პრეზენტაცია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში:<br>2001 წლის 1-3 ივნისს, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თხოვნით, ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ჩატარდა 2000-2001 წლებში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობით მომზადებული სალექციო კურსების პრეზენტაცია. ასევე გაიმართა მრგვალი მაგიდა თელავის უნივერსიტეტის სოციოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების განახლების საკითხების განხილვის მიზნით. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს თსუ სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების და კულტუროლოგიის კათედრების წარმომადგენლებმა, ასევე თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. | **$ 2 856** |
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა | ინგლისური ენის სწავლების პროგრამა<br><br>2001 წელს სოციალურ მეცნიერებათა სარესურსო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა ინგლისური ენის სწავლების ახალი პროგრამა "ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის და აკადემიური წერა" (ESP). პროგრამა შემუშავებულია მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის ბაზაზე არსებულ აკადემიურ ლინგვისტურ ცენტრსა და ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის უცხო ენის სასწავლო ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით. ESP – ის სწავლება დაიწყო 2002 წლის იანვრიდან. | **$ 6 142** |
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა | სოციალურ მეცნიერებათა ქსელი<br><br>2001 წლის 6 სექტემბერს პროგრამამ ჩაატარა შეხვედრა, რომელიც სარესურსო ცენტრის ბაზაზე სოციალურ მეცნიერებათა ქსელის (სმქ) დაარსებას მიეძღვნა. სოციალურ მეცნიერებათა ქსელის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში სოციალურ მეცნიერებათა განვითარებას. სმქ განიხილავს და განახორციელებს ამ პროცესთან დაკავშირებულ საკითხებსა და ღონისძიებებს.<br>სმქ-ში გაერთიანდნენ პროგრამის სამიზნე ინსტიტუტების წარმომადგენლები და პროგრამის (CDC) გრანტიორები.<br>2001 წლის სექტემბრიდან სოციალურ მეცნიერებათა | **$** |

| | | |
|---|---|---|
| | მხარდაჭერის პროგრამამ სოციალურ მეცნიერებათა სწავლების სფეროში ჩართულ პირთა მიერ ჩატარებული ღია ლექციებისა და სოციალურ მეცნიერებათა ქსელის წევრების შეხვედრების სერიის განხორციელება დაიწყო. | |
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა (შიდა პროექტი) | მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის პროფესორების ვიზიტი თსუ პოლიტოლოგიის<br>კათედრაზე<br><br>2001 წლის ოქტომბერში სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამის ორგანიზაციული და ფინანსური ხელშეწყობით, თსუ პოლიტოლოგიის კათედრას ეწვივნენ პროფ. ბორის კაპუსტინი (მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის პრორექტორი) და დოქტ. ანდრეი დეგტიარევი (მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის ლექტორი).<br>სტუმრებმა ჩაატარეს კონსულტაციები ახალი სპეციალიზაციის – გამოყენებითი პოლიტოლოგიის შემოღებასთან დაკავშირებით. მოხდა შეთანხმება ორი უმაღლესი სასწავლებლის პოლიტოლოგიის კათედრებს შორის ხუთწლიანი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. | **$ 1 843** |
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამა | ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებელთა ლექციები<br>- “ჰუმანიტარული მეცნიერებების ველი თანამედროვე საქართველოში” - დოც. ზაზა შათირიშვილი;<br>- “სოციალიზაცია და სექსუალობა ფროიდთან” - პროფ. მარინე ჩიტაშვილი;<br>- “ქართული სახელმწიფოს შესახებ” - დავით ბერძენიშვილი. | **$ 132** |

დახარჯული თანხა: **$ 44 152**

## განხორციელებული პროექტები და პროგრამები: უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა

უმაღლესი განათლების სფეროში საკანონმდებლო საქმიანობის ხელშეწყობა; აღნიშნულ პროცესში აკადემიური და ფართო საზოგადოების ჩართვა

| | |
|---|---|
| უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება<br><br>ზამთრის სკოლა - “როგორ ვასწავლოთ სოციალური მეცნიერებები” (ლიკანი, 21-26 თებერვალი, 2001)<br>ზამთრის სკოლაში მონაწილეობდა საქართველოს იმ უნივერსიტეტების ოცდათხუთმეტი პროფესორ-მასწავლებელი, რომელშიც სოციალური მეცნიერებები ისწავლება. სკოლას უძღვებოდნენ უცხოელი პროფესორები:<br>- პროფ. ჯერარდ დელანტი, ლივერპულის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);<br>- პრფ. არნოლდ ცინგერლე, ბაიროითის უნივერსიტეტი (გერმანია);<br>- პროფ. ბარი პარსონსონი, ორგანიზაცია “ინტერნეშნლ საიქოლოჯის” პრეზიდენტი (ახალი ზელანდია);<br>- დოქტ. გაბრიელე კაპაი, ბაიროითის უნივერსიტეტი (გერმანია);<br>- დოქტ. ანდრეი დეგტიარევი, მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი | **$ 21 133** |

| | |
|---|---|
| სკოლის პროფესორი (რუსეთი).<br>სკოლაში გაიმართა სემინარები, "მრგვალი მაგიდები" და პრაქტიკული სამუშაოები შემდეგ საკითხებზე: სოციალურ მეცნიერებების ცნება; სოციალური მეცნიერებების სწავლების გამოცდილება; ეფექტური სასწავლო გეგმის აგება; სასწავლო კურსის პრაქტიკული დაგეგმვა და მისი საკრედიტო სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა; სწავლების მეთოდოლოგიები. | |
| ზაფხულის სკოლა - "თვისებრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში" (ბაკურიანი, 24-31 ივლისი, 2001)<br>ზაფხულის სკოლაში მონაწილეობდა ოცდათხუთმეტი პროფესორ-მასწავლებელი, მაგისტრი და ასპირანტი საქართველოს იმ უნივერსიტეტებიდან, რომელშიც სოციალური მეცნიერებები ისწავლება. ზაფხულის სკოლის წამყვანი იყო ბაიროითის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის დოქტორი, პრივატ-დოცენტი – გაბრიელე კაპაი (გერმანია). მან წაიკითხა სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებებში თვისებრივი მეთოდების შესახებ.<br>ზაფხულის სკოლაში, ასევე, გაიმართა მრგვალი მაგიდა "საუბრები სოციალურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიაზე." | **$ 18 633** |
| თსუ წარმომადგენლების ვიზიტი ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში<br>2001 წლის 17-22 აპრილს, პროგრამისა და CEU SEP-ის (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სპეციალური და გაფართოებული პროგრამა - SEP) თანამშრომლობით, შედგა თსუ პროფესორ-მასწავლებელთა და ადმინისტრაციის, ასევე განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა ვიზიტი ბუდაპეშტის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, სადაც მათ SEP-ის მიერ მოწყობილ სემინარში მიიღეს მონაწილეობა.<br>სემინარის თემატიკა:<br>- საკვალიფიკაციო ხარისხი;<br>- სწავლების მეთოდოლოგია;<br>- სასწავლო გეგმების (კურიკულუმების) შედგენა. | **$ 8 779** |
| სემინარი სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (10-11 ივლისი, 2001წ.)<br>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სემინარი, რომელიც მიეძღვნა, როგორც ზოგადად ასევე, კერძოდ თელავის უნივერსიტეტში, კურიკულუმების (სასწავლო გეგმების) შედგენის საკითხებს. სემინარში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის დირექტორმა, თსუ-ს წარმომადგენლებმა და საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო - საინფორმაციო ცენტრის თავმჯდომარემ. სემინარზე, ასევე, განიხილეს საქართველოში უმაღლესი განათლების რეფორმისა და უმაღლესი განათლების კანონპროექტთან დაკავშირებული საკითხები, უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციისა და უმაღლესი განათლების დიპლომთა ეკვივალენტობის პრობლემები. | **$ 516** |
| SSSP-ისა და SEP-ის ერთობლივი სემინარი თბილისში<br>2001 წლის 1-3 დეკემბერს მაგისტრატურაში სოციალურ მეცნიერებათა სწავლებით დაკავებულ პროფესორ-მასწავლებლებისათვის ჩატარდა SSSP-სა და CEU SEP--ის (ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სპეციალური და გაფართოებული პროგრამა - SEP) ერთობლივი სემინარი. სემინარის თემა - "საკვალიფიკაციო ხარისხი; სწავლების მეთოდოლოგია". სემინარის მთავარი მომხსენებელი – სოფი ჰოვლეტი (CEU SEP-ის დირექტორი).<br>სემინარში მონაწილეობდა ოცდასამი წარმომადგენელი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან (თბილისი, თელავი, ქუთაისი, გორი, ახალციხე).<br>სემინარი შემდეგ თემებს მიეძღვნა:<br>- საკვალიფიკაციო ხარისხი (ანგლო-საქსური საკვალიფიკაციო ხარისხი);<br>- საკვალიფიკაციო ხარისხი (ევროპული უმაღლესი განათლება);<br>- მოდულარიზაცია და კრედიტები;<br>- საკვალიფიკაციო ხარისხის სტრუქტურირება/აგება;<br>- ხარისხის კონტროლი. | **$ 6 395** |
| უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვები<br>2001 წლის 12 აპრილს და 20 მაისს პროგრამის ხელშეწყობით ჩატარდა ორი შეხვედრა, რომელიც უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვას მიეძღვნა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პრორექტორები, | **$ 826** |

| | | |
|---|---|---|
| სასწავლო ნაწილის გამგეები, პროფესორ მასწავლებლები, განათლების სამინისტროს წარმომადგენლები და კანონპროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრები. შეხვედრებზე კანონპროექტთან მიმართებაში გამოითქვა რიგი მნიშვნელოვანი შენიშვნები. ნათლად გამოიკვეთა საქართველოს უმაღლესი განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმის (კონცეფციის) შემუშავების აუცილებლობა. დასკვნები გადაეცა საქართველოს პარლამენტის განათლების, კულტურისა და სპორტის კომიტეტეს. | | |
| სემინარები ორსაფეხურიანი სწავლების სისტემის შესახებ<br>2001 წლის 7 და 27 მაისს უმაღლესი საწავლებლების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით შედგა სემინარები:<br>- საკრედიტო სისტემა: უმაღლესი განათლების რეფორმა და სამაგისტრო სწავლება;<br>- საკრედიტო სისტემა უმაღლეს სასწავლებლებში. | | **$ 683** |
| თსუ პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტების პროექტი | თსუ პოლიტოლოგიის კათედრის სტუდენტთა კონფერენცია<br>2001 წლის 12-13 ივნისს სოციალურ მეცნიერებათა მხარდამჭერის პროგრამის ხელშეწყობით, ჩატარდა თსუ პოლიტოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტთა ორდღიანი კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა პოლიტიკური მეცნიერებების სწავლების პრობლემებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და არსებული მდგომარეობის შეფასება/ანალიზს. კონფერენციის შედეგები გამოქვეყნდა ბროშურის სახით. აღნიშნული კონფერენციის ხელშეწყობით პროგრამამ ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი გადადგა სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის ღია დიალოგის დამკვიდრებისა და სამომავლოდ განათლების პროცესის ერთად დაგეგმვის მიმართულებით. | **$ 212** |
| სოციალური კვლევა<br>2001 წლის 16 ივნისიდან 1 სექტემბრამდე, პროგრამის ხელშეწყობით, განხორციელდა სოციალური კვლევის პროექტი "სოციალური მეცნიერებების სფეროში რომელ კონკრეტულ სპეციალისტებზე არსებობს მოთხოვნილება საქართველოში დღეს და ათი წლის პერსპექტივით."<br>პროექტი განახორციელა თსუ სოციოლოგიის კათედრის მაგისტრატურისა და ასპირანტურის ხუთმა სტუდენტმა, ორი კონსულტანტის – თსუ სოციოლოგიის კათედრის ლექტორების ხელმძღვანელობით. კვლევის შედეგები უმაღლესი განათლების კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავების პროექტს გადაეცა, როგორც საქართველოში უმაღლესი განათლების სიტუაციური ანალიზის ერთ-ერთი კომპონენტი. | | **$ 11 990** |
| სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერის პროგრამისა და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტი | უმაღლესი განათლების კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავება<br><br>უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვების და უცხოელი ექსპერტების დასკვნის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის მიმართვითა და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, განხორციელდა პროექტი - "საქართველოში უმაღლესი განათლების კონცეპტუალური დოკუმენტის შემუშავება."<br>2001 წლის 22 დეკემბერს კონცეპტუალური დოკუმენტი - "საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები" - განიხილა და პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა. | **$ 37 000** |

**დახარჯული თანხა: $ 55 993**

### სხვა პროექტები: ინსტიტუტების ტექნიკური აღჭურვა

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი<br>(ვარლამ კეშელავა) | "პოლიტიკური ცნობარების მომზადება გამოსაცემად" პროგრამის ხელშეწყობით 2001 წელს განხორციელდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ტექნიკური აღჭურვა მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის. | **$ 5 382** |
| ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტი<br>(მამია სურმავა) | პროგრამის ხელშეწყობით 2001 წელს განხორციელდა ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის უნივერსიტეტის დასავლური აზროვნების კვლევის ინსტიტუტის ტექნიკური აღჭურვა | **$ 5 761** |
| თსუ პოლიტოლოგიის კათედრ<br>(ომარ გოგიაშვილი, გურამ აბესაძე) | 2001 წელს განხორციელდა თსუ პოლიტოლოგიის კათედრის ტექნიკური აღჭურვა. | **$ 4 370** |

დახარჯული თანხა: **$ 11 143**

პროგრამის საერთო ბიუჯეტი: **$ 411 285**

### განათლების განვითარების პროექტი ანუ მეგაპროექტი

განათლების განვითარების პროექტის მიზანია საქართველოში განათლების სისტემის რეფორმის მხარდაჭერა, საგანმანათლებლო ინსტიტუტების დემოკრატიზაციისა და განათლების დარგში კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
პროექტი მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს განათლების სამინისტროსთან განათლების სისტემის სამ ძირითად ასპექტში: სწავლისა და სწავლების მეთოდიკა, სკოლის მართვა და სისტემური ცვლილებების განხორციელების პროცესი. 2001 წლის პრიორიტეტების შესაბამისად მეგაპროექტი შემდეგ ცალკეულ პროგრამებს ახორციელებდა: ნაბიჯ-ნაბიჯ, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები, სახელმძღვანელოების გამოცემა, მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადება, განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და მართვა და რეფორმის მხარდამჭერი სააგენტო.

### მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამა

მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების პროგრამის მიზანია საქართველოში მასწავლებელთა დაწყებითი, საუნივერსიტეტო განათლების არსებული სისტემის რესტრუქტურიზაცია და განვითარება, მომავალი მასწავლებლებისათვის აუცილებელი ცოდნის მიწოდებისა და მათი უნარ-ჩვევების განვითარების უზრუნველსაყოფად.

| | | |
|---|---|---|
| ნინო თომაძე, მარინა ჯაფარიძე<br>სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | ცვლილებები განათლების ფსიქოლოგიის კურიკულუმში | **$ 4 000** |
| თამაზ კარანაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კურსის სასწავლო პროგრამის შექმნა მაგისტრატურიტათვის | **$ 4 000** |
| აკაკი ბაინდურაშვილი, ქეთევან ოსიაშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროგრამა "განათლების ფსიქოლოგიაში" | **$ 3 929** |
| ნინო ჯაფარიძე, თეიმურაზ ხუროძე | მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადების | **$ 4 000** |

| | | |
|---|---|---|
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საბაზისო პროგრამის მოდერნიზაცია საკრედიტო სისტემის შემოღების საფუძველზე | |
| ჯემალ სოლოღაშვილი, ნუგზარ სხირტლაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | მასწავლებელთა მომზადების საუნივერსიტეტო ცენტრი | **$ 10 000** |
| ელგუჯა მექვაბიშვილი, ეთერ ხარაიშვილი<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საშუალო სკოლის ეკონომიკის მასწავლებლის მომზადების ცენტრი | **$ 6 500** |
| ირაკლი ვაჭარაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | განათლების კვლევის, დაგეგმვისა და კოორდინაციის ცენტრი | **$ 5 000** |
| შორენა მაღლაკელიძე, მიხეილ თოქმაზიშვილი<br>სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | განათლების ეკონომიკა (სალექციო კურსი) | **$ 4 000** |
| ელენე თაბორიძე, მარიამ თაბორიძე<br>სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | ხელოვნების ინტერდისციპლინური კურსის პროგრამა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საუნივერსიტიტო მომზადებისას | **$ 3 914** |
| ელგა ცქიტიშვილი, ჟანეტა ვარძელაშვილი<br>სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | სტუდენტთა პროფესიული ადაპტაციის ცენრტი | **$ 10 000** |
| მაია წერეთელი, ლელა ქსოვრელაშვილი<br>სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | მომავალ პედაგოგთა სუბიექტურ-ფსიქოლოგიური ბარიერების კვლევა და მათი დაძლევის ტრეინინგი | **$ 4 000** |
| ბელა გომელაური<br>გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი | სალექციო კურსის "ახალი დიდაქტიკის" შექმნა და დანერგვა | **$ 4 000** |
| იმერ ბასილაძე<br>ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი | მასწავლებელი - ლიდერის მომზადება | **$ 4 000** |
| მერაბ მაღრაძე<br>ქუთაისის ეროვნული პედაგოგიური ინსტიტუტი | კურიკულუმი მასწავლებელთა ფსიქოლოგიური მომზადებისათვის | **$ 5 000** |
| ეკა გიგაშვილი<br>ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ინოვაციების ცენტრი | **$ 4 932** |
| ნათელა ბერიძე, თამარ გოგოლაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი | არაქართულენოვანი ეროვნების მასწავლებლების მომზადების ცენტრი სამცხე-ჯავახეთში | **$ 5 000** |
| ჯემალ ჯინჯიხაძე, გოჩა კობიაშვილი,<br>მაია ინასარიძე, გია ნოზაძე<br>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო<br>უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი<br>თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | წვრთნის (თრეინინგის) ტიპის მეცადინეობის ეფექტურობა სტუდენტთა მასწავლებელ-ფასილიტატორად მომზადებაში | **$ 7 999** |

| | | |
|---|---|---|
| კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი | სკოლების ფსიქოლოგთა მომზადება მედიატორებად | **$ 3 985** |
| საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა მომზადების სფეროში ინტიტუციური ცვლილებების დაწყებისა და პროფესორ-მასწავლებელთა უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით საქართველოს ყველა რეგიონის უმაღლესი სასწავლებლებისათვის ჩატარდა:<br>ა) შვიდი სემინარი, სამუშაო შეხვედრა - "ვორკშოფი", კონსულტაცია, საჯარო ლექცია და კონფერენცია;<br>ბ) ორი კონკურსი. | | **$ 133 512** |

დახარჯული თანხა: **$ 227 771**

### განათლების დეცენტრალიზაციისა და მენეჯმენტის განვითარების პროგრამა (EDMD)

პროგრამის მიზანია საქართველოს სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის დემოკრატიზაცია და მისი მმართვის სრულყოფა. 2001 წელს პროექტის ფარგლებში საქართველოს ოთხი რეგიონის /თბილისი, ქვემო ქართლი, იმერეთი და აჭარა/ 31 სკოლაში განხორციელდა "საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულების ტიპიური დებულების" საცდელი ვერსიის აპრობირება. სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის ხელმძღვანელთათვის და ადგილობრივი ტრეინერებისათვის მთელი წლის მანძილზე ტარდებოდა რეგულარული ტრეინინგები.
ტრეინინგები სამ საფეხურად ხორციელდებოდა:
1. ტრეინინგი სამუშაო ჯგუფისათვის;
2. ტრეინინგი ტრეინერებისათვის;
3. ადგილობრივი ტრეინინგები, რომლებსაც საპილოტო სკოლებში ტრეინერები ატარებენ. ტრეინერების ნაწილი განათლების სისტემის ოფიციალური წარმომადგენლები იყვნენ, ნაწილი კი დამოუკიდებელი ტრეინერები. სულ პროექტში მონაწილეობდა 34 ტრენერი.
ადგილობრივ ტრეინინგებს ესწრებოდა სკოლის მმართველობის სამივე რგოლი: ადმინისტრაცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო.
ტრეინინგების შედეგად საპილოტო სკოლებმა შეიმუშავეს საკუთარი წესდება და სტრატეგიები (სწავლა-სწავლების, ადამიანური რესურსების და ფინანსების მართვის).
სასკოლო დებულების საფუძველზე საპილოტო სკოლებში ჩატარდა პედსაბჭოებისა და სამეურვეო საბჭოების არჩევნები, ჩამოყალიბების პროცესშია დაინტერესებულ პირთა ფორუმი, თითოეულმა საპილოტო სკოლამ შეიმუშავა საკუთარი წესდება. განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით პროექტის მუშა ჯგუფმა ჩაატარა 2 მრგვალი მაგიდა და 1 საკონსულტაციო სემინარი პროექტში მონაწილე სკოლების წარმომადგენლებისათვის საცდელი დებულების სრულყოფასა და კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად, რაც მიზნად ისახავდა დებულების ეფექტურად ამოქმედებას. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლები განათლების, ფინანსთა, ეკონომიკის, ქონების მართვის და იუსტიციის სამინისტროებიდან და ასევე პარლამენტის განათლების ქვეკომიტეტისი წარმომადგენლები. მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ წარმომადგენლები
პროექტის შედეგად შემუშავდა:

1. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულების ტიპიური დებულება (საცდელი დებულება)
2. საქართველოში არსებული სასკოლო განათლების სისტემის გამოკვლევა და მასზე დაფუძნებული რეკომენდაციები
3. საარჩევნო წესები პედსაბჭოების და სამეურვეო საბჭოების წევრთა ასარჩევად.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საპილოტო სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებელთა საბჭოებისა და სამეურვეო საბჭოების წარმომადგენლები საქართველოს ოთხივე რეგიონში. პროექტის მუშა ჯგუფს გააჩნია გამოცდილება და უნარჩვევები, რათა ჩაატარონ ტრეინინგები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების დეცენტრალიზაციისა და სკოლის მენეჯმენტის სფეროში.

| |
|---|
| |

დახარჯული თანხა: **$ 124 586**

## რეფორმის მხარდამჭერი სააგენტოს პროექტი (RSA)

განათლების რეფორმის მხარდამჭერი სააგენტოს პროექტი ხორციელდება ფონდსა და აშშ-ს საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის (Research Triangle Institute) განათლების განვითარების ცენტრს შორის თანამშრომლობის ფარგლებში.

პროექტის მიზნებია: საქართველოს განათლების სისტემის არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე გარდაქმნების შეფასება/ანალიზი; განათლების საკითხების შესახებ საჯარო დიკუსიების ჩატარება და მიღებული შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა.

პროექტის მოქმედების პერიოდში სააგენტოს მიერ მომზადდა ორი ანალიტიკური პროდუქტი:

1. საქართველოს განათლების სისტემის კომპიუტერული მოდელი;

განათლების სისტემის არსებული მდგომარეობის აღწერის გარდა, კომპიუტერული მოდელი იძლევა პროგნოზირებისა და მართვის ოპტიმიზაციის შესაძლებლობას. მოდელი შეიცავს 5 ძირითად პარამეტრს: მოსახლეობა, მოსწავლეები, მასწავლებლები და საფინანსო (შემოსავლის/გასავლის) პარამეტრები. მონაცემების უმრავლესობა არის რეგიონის (ზოგ შემთხვევაში რაიონის) დონეზე და მოიცავს 1998/1999/2000 წლებს.

2. ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია განათლების სისტემის ანალიზი ორი ძირითადი მიმართულებით: 1). მასწავლებელთა განაწილებისა და მათზე მოთხოვნის საკითხის შეფასება; 2).განათლების სისტემის დაფინანსება/საგანმანათლებლო ხარჯები.

| | |
|---|---|
| სემინარი : «საქართველოს ჟურნალისტებისათვის უმაღლესი განათლების კონცეფტუალური დოკუმენტის გაცნობა» | **$ 1,200** |

დახარჯული თანხა: **$ 154 826**

## ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამა (SBS)

ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბავშვი მუდმივად ცვალებად სამყაროში საცხოვრებლად, განუვითაროს და შეუნარჩუნოს მას მუდმივი სწავლის სურვილი, უნარი, შეიცნოს საკუთარი თავი და გარემო, რათა მზად იყოს ცვლილებებისათვის, იაზროვნოს კრიტიკულად, შეეძლოს პრობლემის გადაწყვეტა, ზრუნავდეს საზოგადოებასა და გარემოზე. პროგრამა ნერგავს ბავშვზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიას სკოლამდელ დაწესებულებებსა და დაწყებით სკოლაში და ყურადღებას ამახვილებს სწავლების ინდივიდუალიზაციაზე, განვითარების შესაბამის სწავლებაზე, ბავშვებში არჩევანის გაკეთების უნარის განვითარებასა და სკოლის ცხოვრებაში ოჯახის ჩართვაზე. პროგრამით გათვალისწინებულია მასწავლებელთა გადამზადება, შესაბამისი სალექციო კურსის შემუშავება და უმაღლეს სასწავლებლებში დანერგვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, .ტექნიკური დახმარება.

| | |
|---|---|
| სემინარები მასწავლებლებისათვის, ტრეინერებისათვის | **$ 86 500** |
| საბავშვო ბაღებისა და დაწყებითი სკოლის მხარდამჭერი ღონისძიებები | **$ 229 500** |
| ინსტიტუციონალური რეფორმის ხელშეწყობის მიზნით გაწეული საქმიანობა | **$ 46 500** |

დახარჯული თანხა: **$ 432 000**

## მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციების პროგრამა

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციების პროგრამა ემსახურება მძლავრი მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციების (რგოლების) ქსელის ჩამოყალიბებას საქართველოში.
პროგრამა ხელს უწყობს მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციების (რგოლების) ჩამოყალიბებასა და განვითარებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

პროგრამის მიზნები:
- საზოგადოების მობილიზება ბავშვთა და მოზარდთა (მოსწავლეების) პრობლემების გარშემო
- მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის (რგოლის), როგორც ეფექტური სათემო გაერთიანების წარდგენა სასკოლო გარემოში
- ადგილებზე ლიდერთა გამოვლენის, მათი ურთიერთდაკავშირების, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა
- მშობელთა და მასწავლებელთა გაერთიანებების საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა საქმიანობის სტრუქტურირებულ განვითარებასა და მშობელთა და მასწავლებელთა ორგანიზაციებად ჩამოყალიბებაში
- მშობლებისა და საზოგადოების დაახლოება სკოლასთან; მათი გააქტიურება და ჩართვა მოსწავლეთა საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში.